პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 110 (9521)
6 ივნისი, შაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

## ი. კ. ლიგაჩოვი საქართველოში

გარდაქმნის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გადიდების აქტუალური ამოცანების, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივების კონკრეტულ განხილვას მიეძღვნა 3 ივნისს თბილისში გამართული რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის თათბირი. მასზე გამოვიდა ი. კ. ლიგაჩოვი.

3 ივნისს ი. კ. ლიგაჩოვი ეწვია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, იყო სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიებში, კათედრებზე. დაათვალიერა ინსტიტუტში მოწყობილი კოლექტივის პროფესიული ნამუშევრების გამოფენა. ამავე დღეს იგი იყო გარდაბნის რაიონში, თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

ი. კ. ლიგაჩოვმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის — მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ძველი თბილისის რესტავრირებული ისტორიული უბანი.

3 ივნისს ი. კ. ლიგაჩოვი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

## ბარათები კანდიდატებს

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსახკომმა მიიღო გადაწყვეტილება ერთიანი ოლიმპიური ბარათის შემოღების შესახებ იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც სსრ კავშირის ოლიმპიური და ქვეყნის ნაკრები გუნდების კანდიდატებად ირიცხებიან. შემუშავდა ბარათის სპეციალური ნიმუში, მისი მფლობელის უფლებები და მოვალეობები.

გუშინ რესპუბლიკის სპორტსახკომში გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა, რომლის დაწყებამდე კოლეგიის წევრებმა საზეიმოდ გადასცეს ბარათები ჩვენი მოწინავე სპორტსმენების ერთ ჯგუფს: მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ნანა იოსელიანს, ნატო ლეშკაშელს, ირმა ყიფშიძეს და გიორგი ჩოგოვაძეს.

ბარათი — ეს არის იგივე პირადობის მოწმობა, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად და უფასოდ ისარგებლოს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სპორტული ბაზებით და ინვენტარით. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების სპეციალური და საერთო ფიზიკური მომზადების ამაღლებას.

## დადგა ზაფხული და დაიწყო წყლის სამყაროსთან ჩვენი მეგობრობის განახლების სეზონი—ცურვა ხომ ყველას ერთნაირად გვიტაცებს და გვიზიდავს



სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა საკავშირო კალენდრით 13 ივნისიდან 31 აგვისტომდე ტარდება სხვადასხვა შეჯიბრება. დაიწყება ცურვის მასობრივი სწავლება ხელოვნურ წყალსაცავებზე, ტბებზე, ზღვის სანაპიროებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცურვის სწავლებას პიონერულ ბანაკებში.



13-20 ივნისს სპორტული შეჯიბრებები და ზეიმები ჩატარდება ღია და დახურულ საცურაო აუზებზე, მათში მონაწილეობას მიიღებენ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინენი, ყველა მოყვარული სპორტსმენები.

ღონისძიებების კალენდარი ცალკე გამოქვეყნდება.

### ელვა-ინფორმაცია

ათენი. კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მესამე მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუშინ რუმინეთის გუნდს მოუგო — 121:74 (66:29).

## თამაშები იწვევს ჟურნალისტებს




იმასთან დაკავშირებით, რომ 20 ივლისიდან 10 აგვისტომდე ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები, დაიწყო განაცხადების მიღება ჟურნალისტთა აკრედიტაციაზე. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიოს შესაბამისმა განყოფილებებმა თამაშებზე თავიანთი წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ მოთხოვნა უნდა წარმოადგინონ 30 ივნისამდე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციაში (ლენინის ქ. № 14, „ლელო“). შეჯიბრებები თამაშების პროგრამით ჩატარდება თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, გორში, თელავსა და სობში.

თბილისში დაგეგმილ შეჯიბრებებზე თბილისელ ჟურნალისტთა აკრედიტაცია განუსაზღვრელია.

მოკავშირე რესპუბლიკების ჟურნალისტთა აკრედიტაციის წესის შესახებ ცნობა გამოქვეყნებულია გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 30 და 31 მაისის ნომრებში.

### ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“.

მატჩის დასაწყისი 19 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში გუნდები ითამაშებენ გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე, დასაწყისი 19 საათზე.

### ჭადრაკი – ჭიდაობა – ველოსპორტი

● დღეს ტურინში გაიმართება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. ჩვენი მოკრივეები მონაწილეობას მიიღებენ ით ორთაბრძოლაში. გაგაცნობთ მეტოქეებს: 48 კგ. ნ. მუნჩიანი — კ. ჩოლაკოვი (ბულგარეთი); 54 კგ. ი. ალექსანდროვი — ა. ხრისტოვი (ბულგარეთი), 57 კგ. მ. ლაზარიანი — ლ. სოკი (უნგრეთი); 60 კგ. ო. ნაზაროვი — ე. ჩუპრენსკი (ბულგარეთი); 63,5 კგ. ვ. იანოვსკი — ბ. აბაჯიევი (ბულგარეთი); 67 კგ. ვ. შიშოვი — ზ. მენერტი (გდრ); 71 კგ. ვ. ეგოროვი — ე. რიხტერი (გდრ); 81 კგ. ი. ვაულინი — რ. რილი (გდრ); 91 კგ. რ. საბიევი — ა. ვან დერ ლაიდე (ჰოლანდია), +91 კგ. ა. იაგუბკინი — უ. კადენი (გდრ).

● სექტემბერ-ოქტომბერში ბელგიაში ჩატარდება ფრენბურთელ ვაჟთა ევროპის 1987 წლის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. უკვე გაირკვა ოთხი ფინალისტის ვინაობა. პორტუგალიის ქალაქ ესპინოში გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს შვეციისა და იტალიის გუნდებმა, ესპანეთის ქალაქ პუერტო-დე-სანტა-მარიაში ფინალის საგზურები მოიპოვეს იუგოსლაველმა და ესპანელმა სპორტსმენებმა.

● ტალინის ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და სპორტის სასახლეში დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ივან პოდუბნის პრიზზე.

## კვარცხლბეკზე ქართველი ძიუდოისტები

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში დამთავრდა შვიდი ქვეყნის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირს ამ ასპარეზობაზე წარმოადგენდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელმაც მთავარი გუნდური პრიზი მოიპოვა.

დინამოელთა ღირსებას ტურნირზე ოთხი ქართველი ძიუდოისტიც იცავდა. მათ ორი ოქროსა და ორი ვერცხლის ჯილდო მოიპოვეს. 71 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა ფინალში ერთმანეთს ორი თბილისელი — თამაზ ნამგალაური და რამაზ მარგველანი შეხვდა. გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა ნამგალაურმა, რომელიც ტრავმით გამოწვეული წლინახევრიანი შესვენების შემდეგ, კვლავ იძენს ჩვეულ სპორტულ ფორმას. ვროცლავში მან ყველა ორთაბრძოლა ვადამდე მოიგო.

თბილისელი ლერი ნაკანი საუკეთესო იყო 78 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. მძიმე წონის ძიუდოისტებს შორის მეორე ადგილი მოიპოვა ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ.

(საქინფორმი).



გაგრაში, როგორც ადრე გაუწყეთ, დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი და ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობაში (იხ. მე-2 გვ.).

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ეტაპის შეჯიბრებები (იხ. მე-3 გვ.).



### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „სიღნაღელებთან“

„ლელოს“ მიმდინარე წლის 1 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „სიღნაღელებთან...“ წერილში ნათქვამი იყო, რომ რაიონის სპორტულ კომპლექსში გამაჯანსაღებელი ვარჯიშები არ ტარდება საღამოს ექვსი საათის შემდეგ, რადგან ამ დროს ავტობუსები რაიონის ცენტრიდან სოფლებში აღარ მიდიან.

გაცნობებთ, რომ უკვე მივიღეთ ზომები, ახლა რაიონის სპორტული კომპლექსის საარენდო და სააბონემენტო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები მუშაობენ საღამოს 22 საათამდე. გარდა ამისა, ქ. წნორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა საავტობუსო მარშრუტების — „სიღნაღი-„წნორის“ და „სიღნაღი-ბოდბეს“ რეისების ამ დრომდე გაგრძელება.

თ. ქევხიშვილი.

საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მდივანი.

რედაქციისაგან: სასიამოვნოა, რომ „ლელოს“ კრიტიკულ შენიშვნებს უმალვე მოჰყვა რეაგირება. ვფიქრობთ, აქ კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა სიღნაღის შესანიშნავი სპორტული კომპლექსი რაც შეიძლება რაიონის მეტი მკვიდრისათვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშები

# კვლავ თბილისელები

• **გაგრამ** ერთ თვეში ორჯერ უმასპინძლა რესპუბლიკის ცხენოსანთა შეჯიბრებას. საცხენოსნო სპორტის ეროვნულ ტრადიციებს აფხაზეთში სათუთად უვლიან და ინახავენ. რაც მთავარია, ყველაფერს აკეთებენ, რათა ცხენოსნობა იქაც აღორძინდეს, სადაც სპორტის ეს სახეობა დავიწყებას მიეცა. ნათქვამის საილუსტრაციოდ გაგრელთა მაგალითი გამოდგება. მათ წარმოუდგენლად მოკლე დროში ბევრი რამ გააკეთეს „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ“ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესასრულებლად. მხოლოდ კლუბის აღდგენა, იპოდრომის მშენებლობა და რესპუბლიკურ პირველობებში მონაწილეობა არ გვაქვს მხედველობაში, ამას უნდა დავუმატოთ მთავარი, რითაც ბოლოს და ბოლოს მუშაობა ფასდება — შედეგი! მათ პირველად მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. ისიც ძალზე მნიშვნელოვან ამბად მიგვაჩნია, რომ გაგრელებმა რესპუბლიკური შეჯიბრების მასპინძლობისა და ჩატარების საუკეთესო მაგალითიც გვიჩვენეს. მით უმეტეს, რომ ეს მეორე შეჯიბრება თავდაპირველად აქ არ იყო დაგეგმილი.

ასეთი ენთუზიაზმი იმანაც განაპირობა, რომ ახლა გაგრაში მუშაობენ საუკეთესო სპეციალისტები, საქმისათვის გულანთებული ორგანიზატორები კლუბის უფროსის ვალერი ბარციცისა და მთავარი მწვრთნელის დანთე ხოფერიას ხელმძღვანელობით. მართლაც კადრები წყვეტენ ყველაფერს. გაგრაში გამართულმა ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ სპორტის ამ სახეობას ყველგან გულისყურით არ ეკიდებიან. ცხენოსნობა ხომ მხოლოდ რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში, ქალაქსა და რეგიონშია დანერგილი. თამაშების ჩემპიონი გახდა თბილისის ნაკრები (უფროსი მწვრთნელი კ. გაშიბაიაზოვი), რომელიც დაკომპლექტებული იყო თბილისის საცხენოსნო ბაზისა (დირექტორი გ. კალმახელიძე) და განათლების სამინისტროს საცხენოსნო სკოლის (დირექტორი ზ. დუნდუა) აღსაზრდელებით.

**ვ. ბაქრაძე,**
**მ. მესხია.**

### შიკ — კვარცხლბეკი

ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები. **ცხენის გაწვრთნა:** 1. ი. კოზინა, 2. ლ. სტანკუსი (ორივე — თბილისი), 3. კ. ბარციცი (აფხაზეთი). **კონკური** („სიჭაბუკის თასი“): 1. რ. კვარაცხელია (ფოთი), 2. მ. სამუშია, 3. ი. მამფორია (ორივე — აფხაზეთი). **სამჭიდი:** 1. მ. რევიშვილი (თბილისი), 2. ს. სააკიანი (აფხაზეთი), 3. გ. ღოღობერიძე (თბილისი).

**საერთო გუნდური შედეგები:** 1. თბილისი — 377, 2. აფხაზეთი — 346, 3. ზუგდიდი — 202, 4. ფოთი — 86, 5. წალენჯიხა — 57 (სარბიელზე მხოლოდ ხუთი კოლექტივი გამოდიოდა).

**სპეციალისტის კომენტარი.** გვესაუბრება რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ცხენოსნობაში, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი რევაზ მანჯავიძე:

პირველ ყოვლისა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო გაგრელთა მართლაც უმაგალითო ენთუზიაზმი. აქაური ახალბედები, რომლებიც მხოლოდ შარშან გამოჩნდნენ სარბიელზე, წელს უკვე ლიდერებად მოგვევლინენ და რესპუბლიკის ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმეს.

როგორც მასპინძლები, დიდი გულისყურით მოეკიდნენ ასპარეზობას ბზიფის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი იური ბარციცი, მთელი პედკოლექტივი და თვით მოსწავლეები. სკოლამ მხედრებს თავისი სპორტული მოედანი დაუთმო დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობის ჩასატარებლად.

სიურპრიზი იყო, აგრეთვე, ასპარეზობაში წალენჯიხელთა მონაწილეობა. რაიონმა, მართალია, მხოლოდ ორი მხედარი გამოიყვანა, მაგრამ მათ 17 ქულა დააგროვეს და ჩამოიტოვეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის — გუდაუთის საცხენოსნო კლუბის წარმომადგენლები. გუდაუთელები რესპუბლიკის ჩემპიონატში ბოლო, XI ადგილზე დარჩნენ, რაც უდავოდ საგანგაშო ფაქტია. ცხენოსნობის კლასიკური სახეობებისადმი ასეთი დამოკიდებულება გუდაუთელებს არ ეპატიებათ, მით უფრო, რომ აქ აღიზარდა სსრ კავშირის ჩემპიონი და ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრი, რესპუბლიკის ცხენოსანთა ლიდერი ხარლამ სიმონია.

დაბოლოს, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელები, რომლებიც კვლავ ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს. ეს სკოლა საუკეთესო მხედრებს უზრდის რესპუბლიკას.

# „ლელოს“ რედაქციას

ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის „ავაზას“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ბოლო დროს კრიტიკის ობიექტად იქცა.

იმის გამო, რომ არ იყო გამოყოფილი საჭირო თანხები და არც სათანადო საპროექტო დოკუმენტები არსებობდა, 1986 წელს სკოლაში ვერ მოხერხდა ძირითად სამუშაოთა დამთავრება, შეკეთდა მხოლოდ ადმინისტრაციული შენობა და გასახდელები, ასფალტი დაიგო ტერიტორიის ერთ მონაკვეთზე. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ძირითადი მინდვრის კეთილმოწყობა, სათადარიგო მოედნების მოასფალტება. სათანადო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა გაკეთებულია საპროექტო ინსტიტუტ „სპორტპროექტში“. ძირითადი სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, ვინაიდან დამკვეთის შემსრულებელმა — განათლების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ზ. ნაცვალაძე) დროულად ვერ მიიღო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. შეთანხმების თანახმად საპროექტო დოკუმენტაცია შემსრულებელ ორგანიზაციას უნდა ჩაბარებოდა მიმდინარე წლის მარტში, მაგრამ მიიღეს მხოლოდ აპრილის თვის მეორე ნახევარში პარტიის რაიკომის ჩარევის შემდეგ, თანაც არასრულყოფილი სახით. ამჟამად მიმდინარეობს ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება. სადღეისოდ დაწყებულია მხოლოდ სპორტსკოლის ტერიტორიის შემოღობვა.

სპორტსკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით დამკვეთ ორგანიზაციასთან — სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოსთან ერთად დაწესებულებებში [illegible] ... გაერთიანება „სამოო ქიმია“ [illegible] გაერთიანება, [illegible] გაერთიანება „მიონი“, საკოლო ინვენტარის ფაბრიკა, „თბილმრეწვმშენის“ ტრესტი № 8, მშენებლობის სამინისტროს № 2 და № 18 ტრესტები.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა „ავაზას“ მუშაობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა შექმნა არასახარბიელო საზოგადოებრივი აზრი, პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ შრომის დისციპლინის შემოწმებისას არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა სკოლის ზოგიერთი თანამშრომელი. მაგალითად, მწვრთნელი ა. მგელაძე მშობლების თანდასწრებით უტაქტოდ, აღმზრდელისთვის შეუფერებელი მეთოდებით ატარებდა საწვრთნელ მეცადინეობას. შრომის დისციპლინის დარღვევის გამო სპორტსკოლის მეთოდისტი ს. ალიხანოვი და მწვრთნელი ა. მგელაძე გათავისუფლდნენ სკოლიდან.

სპორტსკოლის დირექტორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. მესხს პარტიის რაიკომმა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სათანადო მითითებები მისცა.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის „ავაზას“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შიდასასკოლო დისციპლინის გაუმჯობესების საკითხები პარტიის პირველი მაისის რაიკომის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების სამმართველოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემატური კონტროლის ქვეშ იმყოფება.

**ნ. ლეკიშვილი,**
საქართველოს კპ თბილისის პირველი მაისის რაიკომის მდივანი.

# „წყალბურთი უფრო საინტერესო გახდა“

**წყალბურთელთა** თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი ქვეყნისა და იუგოსლავიის გუნდების მატჩი დამთავრდა თუ არა, გახარებული უფროსი მწვრთნელი ბორის პოპოვი თავის ბიჭებს გადაეხვია და გამარჯვება მიულოცა. მას არა მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზის მოპოვებაახარებდა, არამედ მსოფლიო ჩემპიონთან და თასის მფლობელ იუგოსლავიის ნაკრებთან გამარჯვებაც, რასაც დიდი ხანია ელოდა.

უფროს მწვრთნელს გამარჯვება მივულოცეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ.

**● პირველ სამ პერიოდში ბრძოლა დაძაბული, საინტერესო და თანაბარი იყო, მეოთხე პერიოდში კი ჩვენმა გუნდმა გაცილებით უკეთ ითამაშა. შეხვედრა 3 ბურთის უპირატესობით მოვიგეთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რევანში აიღეთ?**

— არა, ვფიქრობ, ახლა სარევანშო არაფერი გვქონდა. სალონიკში, მსოფლიო თასის გათამაშებაში პირველი ადგილი, მართალია, იუგოსლავიელებმა დაიკავეს, მაგრამ ჩვენ ხომ ამ გუნდთან შეხვედრა ფრედ დავამთავრეთ. ორივემ ქულათა თანაბარი რაოდენობა დავაგროვეთ. მაგრამ მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით თასი იუგოსლავიელებმა მოიპოვეს. ამ მეტოქესთან შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დავმარცხდით. დღევანდელი გამარჯვება, ბუნებრივია, მახარებს. ჩვენ ამ ტურნირზე ყველას დავუმტკიცეთ, რომ საბჭოთა ნაკრები იუგოსლაველთა გუნდზე სუსტი არაა. და მაინც, ტურნირი, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს, მაინც ტურნირია, ოფიციალური შეჯიბრება კი სულ სხვა, ამიტომ, ჩემი აზრით, რევანში არ შემდგარა. მთავარი ბრძოლა — ევროპის ჩემპიონატი — აგვისტოში სტრასბურგში გაიმართება.

**● თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაწესების შემდეგ დაიწყო საბჭოთა წყალბურთელების აღმავლობა, რომელიც თქვენს სახელს უკავშირდება. ცხრა ტურნირიდან რვაჯერ გაიმარჯვეთ, მოიპოვეთ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედლები: გაიმარჯვეთ სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე, მსოფლიო თასის გათამაშებაში, ამერიკის თასიც დაისაკუთრეთ... ერთი სიტყვით, გუნდმა თქვენი ხელმძღვანელობით ყველაფერი მოიპოვა, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა, მხოლოდ ბოლო წლებში წაიფორხილა. რას მიაწერთ ამას?**



— ჩვენს გუნდს საკუთარი ხელწერა ჰქონდა. 1980 წლიდან შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატამდე, ყოველ წელს გუნდში ერთ-ორ ახალ მოთამაშეს ვიწვევდით, ამიტომ თამაშის სტილი არ იცვლებოდა. ასე რომ, მეტოქეებმა კარგად შეისწავლეს ჩვენი თამაშის მანერა. საჭირო გახდა გადამჭრელი ზომების მიღება, უწინარეს ყოვლისა, ტაქტიკის გამოცვლა, მაგრამ ძველ გვარდიას გაუჭირდა თამაშის სტილის შეცვლა. ამიტომ გუნდში ხუთი ახალი წყალბურთელი მივიწვიე, წლეულს კიდევ ორი ახალგაზრდა ავიყვანე: ჩვენი ამოცანაა სეულის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება. სწორ გზას რომ ვადგავართ, ეს იუგოსლავიელებთან თამაშმაც დაგვიდასტურა.

**● საბჭოთა ნაკრების ორი დებიუტანტი ახსენეთ. ესენი არიან თბილისის დინამოელი კახა კანდელაკი და მისი ლვოველი თანაკლუბელი ვადიმ როუდესტვენსკი. დიდი ხანია საბჭოთა ნაკრების ღირსება, თუ მეკარე მიხეილ გიორგაძეს არ ჩავთვლით, ქართველ წყალბურთელს არ დაუცავს. მხედველობაში გვყავს საქართველოს გუნდის წევრი, თორემ ჩვენი მოსკოველი თანამემამულე გიორგი მშვენიერაძე კარგა ხანია პირველი ნაკრების პრესტიჟს წარმატებით იცავს. გვაინტერესებს თქვენი აზრი კახა კანდელაკზე.**

— კანდელაკი პირველად აპრილში მოვიწვიეთ შეკრებაზე. ეს ტურნირი მისი გამოცდა იყო. არ მიფიქრია, რომ კანდელაკი და საერთოდ ახალწვეულები, არაჩვეულებრივად ითამაშებდნენ. პირიქით, ცოტა მეშინოდა კიდეც, რადგან ბევრი ახალწვეული ხშირად გუნდს ვერ ეთვისება და თამაშს აფუჭებს. ასე რომ, მთავარი იყო კანდელაკი გუნდს შერწყმოდა. ვფიქრობ, მან ეს მოახერხა, კარგად ითამაშა. ჩემი აზრით, ამ წყალბურთელს უკეთესად შეუძლია თამაში.

**● თბილისის ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაზე გფრ-ის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. მასთან შეხვედრაში საბჭოთა და იუგოსლაველი წყალბურთელები ფრეს „დასჯერდნენ“. არადა, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დასავლეთგერმანელები უძლიერესებად არ ითვლებოდნენ. იგივე უნდა ითქვას აშშ-ს ნაკრებზე, რომელსაც დიდი წარმატებები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომამდე ჰქონია, ახლა კი, მსოფლიო თასის გათამაშებაზე, მეოთხე ადგილი დაიკავა. ამ შეჯიბრების ფინალისტთა შორის იყვნენ იტალიისა და ესპანეთის გუნდებიც, რომლებიც წინათ ასევე არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ სალონიკში გულშემატკივრებმა ვერ ნახეს უნგრეთის ნაკრები, რომელიც არც თუ ისე შორეულ წარსულში, როგორც იტყვიან, მოდის კანონმდებლად ითვლებოდა. ყოველივე ამას თქვენ რას მიაწერთ?**

— უბრალოდ, მრავალი ქვეყნის წყალბურთელთა საერთო დონე ამაღლდა. ახლა მსოფლიოში 8–10 გუნდია, რომლებთანაც საუკეთესო გუნდმაც კი მთელი ძალების მობილიზებით უნდა ითამაშოს. მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იტალიაში წყალბურთი დიდად არავის, ან თითქმის არავის აინტერესებდა, ახლა კი იქ სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებისას ტრიბუნები გადაჭედილია. იტალიის გუნდებში ბევრი უცხოელი, მათ შორის იუგოსლაველებიც მიიწვიეს, ამან თავად იტალიელთა ოსტატობაზეც მოახდინა გავლენა და სპორტის ეს სახეობაც უფრო პოპულარული გახდა.

**● მსოფლიო თასის გათამაშებამ რაიმე სიახლე ხომ არ გვიჩვენა?**

— არა, მაგრამ თამაშის ერთ მისასალმებელ სიახლეზე მაინც უნდა ითქვას. წინათ „დამნაშავე“ სპორტსმენს სარბიელიდან 45 წამით ან გოლის გატანამდე აძევებდნენ. ახლა დასჯილი სპორტსმენი უმალ სარბიელზე ბრუნდება, თუ მისი თანაგუნდელები ბურთს ხელში ჩაიგდებენ. ამიტომ მოიერიშე გუნდი ახლა მთელი შემადგენლობით თამაშობს. ამან თამაში უფრო საინტერესო და სწრაფი გახადა, ეს კი წყალბურთელისგან დიდ ენერგიას მოითხოვს. ამიტომ დღეს სპორტსმენის საერთო ფიზიკურ მომზადებას უფრო მეტი ფასი დაედო.

**● გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის. სტრასბურგშიც წარმატებას გისურვებთ.**

— გმადლობთ!

საუბარი ჩაიწერა
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

### ტურნირის ექო

# სეიფში ჩაკეტილი პროექტი

— **ფიზკულტურის** მასწავლებელზე სამდურავი არ გვეთქმის. ანზორ ბუხრუკიძე, რომელიც აქ აგერ უკვე 30 წელია მუშაობს და მისი კოლეგა ოლღა ჯაფარიძე, ენერგიასა და ცოდნას არ იშურებენ ამ საქმისთვის, მაგრამ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, სპორტდარბაზი რომ არ იყოს ძალიან პატარა. დამატებითი დარბაზის მიშენების პროექტი უკვე შემუშავებულია, მაგრამ რად გინდა, მშენებლობის დაწყებას საშველი არ დაადგა და პროექტი განათლების განყოფილების სეიფშია ჩაკეტილი, — გვითხრა გორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ნადეჟდა ტატულაშვილმა.

მართლაც, ამ სკოლის სპორტული დარბაზი (7X15) სტანდარტული ზომისა არ არის, მაგრამ აქ კარგად იყენებენ ღია სპორტულ სარბიელს: კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს, სახტომ სექტორებს, სარბენ ბილიკებს. სწორედ ფიზკულტურის მასწავლებლებს და ღია მოედნებს უნდა უმადლოდნენ ამ სკოლის მოსწავლეები მოპოვებულ წარმატებებს, მაგრამ ეს წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, სკოლას კარგი სპორტული ინვენტარი რომ ჰქონდეს. მაგალითად, ტანვარჯიშული ლეიბები იმდენად მოძველებულია, რომ მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა შეუძლებელია, რადგან შეიძლება დაიხეს. სკოლის ეზოშიც უწესრიგობაა. ქალაქის წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველოს რამდენიმე თვის წინ აქ თხრილი გაუჭრია, მიწა კი მიუყრია, მაგრამ არც მოუსწორებია და არც ასფალტი დაუგია.

**ილია თევდორაშვილი.**
გორი. „ლელოს“ კორ.

## მოკლედ

### ჩხოროწყუ

რაიონის საჭადრაკო კლუბ „ახალგაზრდულში“ გამართულ რაიონის მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაზე ყველას აჯობა ხუბუმეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივმა.

პირად პირველობაში აგროსამრეწველო გაერთიანების ინჟინერმა სოსო ბერაძემ გაიმარჯვა.

**სოსო ჯალაღონია.**

# ევროპის ჩემპიონატი

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები საკვალიფიკაციო ჯგუფებში.

## II ჯგუფი

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ჯგუფის ლიდერების — იტალიისა და შვეციის ფეხბურთელთა შეხვედრა, რომელიც სტოკჰოლმში შედგა. ამ მატჩის წინ იტალიელებს 100-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ: 4 მატჩი, 4 მოგება, შვედებმა კი მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს პორტუგალიელებთან მატჩში (1:1). სტუმრებმა ერთობ აქტიურად დაიწყეს თამაში, მე-15 წუთზე 11-მეტრიანის დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ მანჩინიმ ვერ შეძლო მისი გამოყენება, ბურთი მეკარე რეველიმ მოიგერია. აქედან მოყოლებული უპირატესობამ მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა, 25-ე წუთზე ლარსონმა ეფექტური გოლი გაიტანა, რომელმაც მატჩის ბედი შვედების სასარგებლოდ გადაწყვიტა — 1:0.

ახლა II ჯგუფის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 9 |
| იტალია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-3 | 8 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 3 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-19 | 1 |

## III ჯგუფი

სსრ კავშირის ფეხბურთელებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და ოსლოს „ულევოლის“ სტადიონზე 3 ივნისს გამარჯვებას მიაღწიეს ნორვეგიის ნაკრებთან შეხვედრაში.

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ ამ მატჩში საგრძნობლად გააძლიერა ნახევარდაცვის ხაზი, მარცხენა მცველის ადგილზე კი დემიანენკოს ნაცვლად შემტევი ნახევარმცველი რაცი გამოიყვანა. სტუმრებმა ტემპიანი შეტევებით დაიწყეს თამაში, პირველ ხუთიოდე წუთში ზედიზედ ორი ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ჯერ ზავაროვმა, შემდეგ კი ბელანოვმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი.

გოლი, რომელმაც სტუმრებს გამარჯვება მოუტანა, მე-16 წუთზე შედგა: შუა მინდორში კომბინაცია დაიწყო მიხაილიჩენკომ, მისი გადაცემის შემდეგ როდიონოვი სწრაფად გავიდა წინ, ბურთი ზავაროვს მისცა და ამ უკანასკნელმაც ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

ნორვეგიელებმა მეორე ტაიმში სცადეს ინიციატივის ხელში აღება, რამდენიმე სახიფათო იერიშიც გაიტანეს, მაგრამ საბჭოთა გუნდის მცველები და მეკარე ორგანიზებულად იბრძოდნენ. დაძაბული თამაში დამთავრდა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით — 1:0.

ჩვენი გუნდის შემადგენლობა: დასაევი, სულაქველიძე, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, რაცი, როდიონოვი, იაკოვენკო (დემიანენკო, 68), ალეინიკოვი, ზავაროვი, მიხაილიჩენკო, ბელანოვი (პროტასოვი, 78),

ამავე დღეს რეიკიავიკში შედგა მატჩი ისლანდიისა და გდრ-ის გუნდებს შორის. სტუმრებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, გამარჯვებაც მათ დარჩათ — 6:0. ბურთები გაიტანეს მინგემ, ტომმა (3), დოლმა და დოიშნერმა. ისლანდიელმა პეტურსონმა 47-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

გთავაზობთ III შესარჩევ ჯგუფში დღემდე ჩატარებული მატჩების შედეგებს, გათამაშების ცხრილისა და დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს:

**1986 წელი**

10. IX ისლანდია — საფრანგეთი 0:0.

**24. IX ისლანდია — სსრ კავშირი 1:1.**

24. IX ნორვეგია — გდრ 0:0.

**11. X საფრანგეთი — სსრ კავშირი 0:2.**

**29. X სსრ კავშირი — ნორვეგია 4:0.**

29. X გდრ — ისლანდია 2:0.

19. XI გდრ — საფრანგეთი 0:0

**1987 წელი**

29. IV საფრანგეთი — ისლანდია 2:0.

**29. IV სსრ კავშირი — გდრ 2:0.**

**3. VI ნორვეგია — სსრ კავშირი — 0:1.**

3. VI ისლანდია — გდრ — 0:6.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 9 |
| გდრ | 5 | 2 | 2 | 1 | 8-2 | 6 |
| საფრანგეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| ისლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 1-11 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |

**დარჩენილი თამაშების კალენდარი:**

16. VI ნორვეგია — საფრანგეთი.

**9. IX სსრ კავშირი — საფრანგეთი.**

9. IX ისლანდია — ნორვეგია

23. IX ნორვეგია — ისლანდია

**10. X გდრ — სსრ კავშირი**

14. X საფრანგეთი — ნორვეგია

**28. X სსრ კავშირი — ისლანდია**

28. X გდრ — ნორვეგია

18. XI საფრანგეთი — გდრ

## VI ჯგუფი

**კოპენჰაგენი.** ფრედ — 1:1 დამთავრეს მატჩი დანიისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა. ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა მოლბიუმ, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ჰაშეკმა აღადგინა წონასწორობა—1:1. ორივე ბურთი საჯარიმო დარტყმების შედეგად გავიდა.

**გათამაშების ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 1 | 3 | 0 | 5-2 | 5 |
| უელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 4 |
| ფინეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-10 | 1 |

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტში“ ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის საანგარიშო წერილი იმ დარღვევათა თაობაზე, რომლებიც უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში ხდება, დაბეჭდილია ჩემპიონატის მონაწილე გუნდების დარღვევათა საერთო ცხრილიც.

სპორტტექნიკურმა კომისიამ საგანგებოდ აღნიშნა მოსკოვის „სპარტაკის“ მცველის ა. კაიუმოვის ყოვლად დაუშვებელი საქციელი, რომელმაც ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩში უხეშობისთვის ჯერ ყვითელი ბარათი დაიმსახურა, შემდეგ კი განზრახ, ბრძოლის გარეშე უბურთოდ ფეხი მოარტყა მეტოქეს, რისთვისაც მსაჯმა იგი მინდვრიდან გააძევა.

ამგვარი დარღვევა ა. კაიუმოვისთვის ნორმად იქცა, წინა წლებშიც მას არაერთხელ დაუმსახურებია სასჯელი უხეშობისთვის. ა. კაიუმოვს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური, 3 მატჩით მისცეს დისკვალიფიკაცია და მკაცრად გააფრთხილეს, რომ შემდგომში, პირველივე უდისციპლინობის შემთხვევაში, მის მიმართ გადამჭრელ ზომებს მიიღებენ.

მკაცრ სანქციებს მიმართეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიმართაც, რომლებიც, ბოლო ხანებში ხშირად არღვევდნენ წესრიგს.

ყველაფერი რიგზე არაა თბილისის „დინამოშიც“. ახლა, როცა საქართველოს პირველ გუნდს დიდად უჭირს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება, მას სრული მობილიზება მართებს თამაშის გასაძლიერებლად, უმძიმესი კრიზისისგან თავის დასაღწევად, ჩვენი ფეხბურთელები კი საკმაოდ ხშირად არღვევენ წესს, რის შედეგადაც თბილისის „დინამო“ უდისციპლინობათა საჯარიმო ცხრილში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იმყოფება. განა ცხადი არ არის, რომ გუნდში მდგომარეობის გამოსწორებას დიდად უშლის ხელს ს. ჭედიას მიერ მიღებული 3 გაფრთხილება?

ს. ჭედია კი კოლექტივის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ორი გაფრთხილება დაიმსახურა ზ. სვანაძემ, თითო — გ. კეტაშვილმა, ნ. კაკილაშვილმა, ა. ცვეიბამ. მათი 8 გაფრთხილება საგანგაშო სიგნალია. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთე-

# უდისციპლინობა ვნებს თამაშის კლასს

ლები მუდამ გამოირჩეოდნენ კორექტულობით, თავაზიანობით, ტექნიკური თამაშით, მათი აზარტი და ტემპერამენტი ყოველთვის დადგენილი ნორმებით იყო შემოფარგლული, ახლა კი, ეტყობა, მდგომარეობა შეიცვალა და გუნდის ხელმძღვანელობამ ამას ამთავითვე უნდა მიაქციოს ყურადღება.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ლანჩხუთის „გურიაში“, ზემოხსენებულ ცხრილში იგი მოწინავეთა შორის იმყოფება, II-III ადგილებზე, მაგრამ ყვითელი ბარათები აქაც დაიმსახურეს მ. თევზაძემ, ე. თევზაძემ, მ. მეგრელაძემ და მ. არზიანმა.

I ლიგაში მყოფი ჩვენი გუნდების მიმართაც გვინდა გამოვთქვათ შენიშვნა. ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშეთაგან გაფრთხილებები დაიმსახურეს გ. თევზაძემ, მ. მანაგაძემ, გ. ციკარიშვილმა, ნ. ჭელიძემ, აგრეთვე ო. შამათავამ, ხოლო ბათუმის „დინამოში“ — გ. ზედანიამ, ლ. ბარათაშვილმა და ა. გოგიტიძემ.

ხშირად არღვევენ დისციპლინას საკავშირო გათამაშებაში მონაწილე საქართველოს II ლიგის გუნდებიც, აქაც საჭირო წესრიგია დასამყარებელი.

სსრ კავშირის 50-ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებმა სადღეისოდ 99 გაფრთხილება დაიმსახურეს, ორი მათგანი მინდვრიდან იქნა გაძევებული. ეს ციფრები შემაშფოთებელია, ვინაიდან შარშანდელ ჩემპიონატში დარღვევათა რაოდენობა ამ პერიოდისთვის გაცილებით ნაკლები გახლდათ.

| | გძ. | გფ. | ს.ქ. |
|---|---|---|---|
| „შახტიორი“ | — | 3 | 3 |
| „არარატი“ | — | 4 | 4 |
| „გურია“ | — | 4 | 4 |
| „დინამო“ მნ. | — | 5 | 5 |
| „მეტალისტი“ | — | 5 | 5 |
| „ნეფთჩი“ | — | 6 | 6 |
| „დინამო“ მ. | — | 7 | 7 |
| „დინამო“ კ. | — | 7 | 7 |
| „ტორპედო“ | 1 | 3 | 8 |
| „ჟალგირისი“ | — | 8 | 8 |
| ცსკა | — | 8 | 8 |
| „დნეპრი“ | — | 8 | 8 |
| „ზენიტი“ | — | 8 | 8 |
| „დინამო“ თბ. | — | 8 | 8 |
| „სპარტაკი“ | 1 | 8 | 13 |
| „ქაირათი“ | 2 | 7 | 17 |

**შენიშვნა:** თითოეული გაფრთხილებისთვის გუნდს ერიცხება თითო საჯარიმო ქულა, ხოლო მოთამაშის მინდვრიდან გაძევებისთვის — 5 ქულა.

ჩვენს ფეხბურთში ამჟამად უშეღავათო ბრძოლაა გაჩაღებული წესრიგის დასამყარებლად ყველა რანგის, ნებისმიერი კატეგორიის გუნდებში, საქართველოს გუნდების ყოველმა მოთამაშემ კარგად უნდა შეიგნოს, რომ დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევაც კი დიდად ვნებს ქართული ფეხბურთის პრესტიჟის საქმეს.

# ოლიმპიურ სარბიელზე

**[...]ოპაში** გაიმართა მომავალი [ოლ]იმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ორი შესარჩევი მატჩი.

[ავ]სტრიის ქალაქ გრაცში მასპინძლებმა ანგარიშით 0:1 განიცადეს მარცხი იუგოსლავიის ნაკრებთან შეხვედრაში („ც“ ჯგუფი), ხოლო უნგრელებმა ბუდაპეშტში მოუგეს შვეციის გუნდს — 2:1 („ე“ ჯგუფი).

# [ფ]ინალი დათმეს

**[პ]არიზის** „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე 3 ივნისს შედგა 16 წლის [ასა]კამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრებები. ანგარიშით — 1:0 გაიმარჯვეს იტალიელმა ფეხბურთელებმა.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ საფრანგეთისა და თურქეთის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ფრანგებმა 3:0.

# სსრ კავშირის თასზე

[სს]რ კავშირის საფეხბურთო თასის 46-ე გათამაშების ფინალური [მატჩი] 14 ივნისს გაიმართება, მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან კიევის და მინსკის დინამოელები. [...] კი იწყება თასის ახალი, [198]7-88 წლების გათამაშება. დღეს [...] მატჩები, ქუთაისის „ტორპედო“ შინ მიიღებს ომსკის „ირტიშს“, ბათუმის „დინამო“ კი თავის მინდორზე შეხვდება მოსკოვის „კრასნაია პრესნიას“.

ამ ეტაპზე ითამაშებენ, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის II ლიგის გუნდები: გორის „დილა“ ვოლგოგრადში შეხვდება „როტორს“, ფოთის „კოლხეთი“ მიიღებს ივანოვოს „ტექსტილშჩიკს“, სოხუმის დინამოელები კი სვერდლოვსკის „ურალმაშს“.

# გამოცდილები და ახალბედები

**რუსთავში** დამთავრდა საქართველოს საიუბილეო, XXV ვაჟთა ჩემპიონატი 100-უჯრედიან შაშში.

შეჯიბრებაში, რომელშიც 3 ოსტატი და 13 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა, თავიდანვე დაწინაურდა თბილისელი ახალგაზრდა ოსტატი ჯუმბერ ბერიშვილი. ლიდერს კონკურენცია ვერ გაუწიეს ოსტატებმა იური სპესივცევმა და არტურ გოიხმანმა. გოიხმანი III ტურშივე დამარცხდა საგარეჯოელ ჭაბუკ მოშაშე გელა ორკოშნელთან, სპესივცევმა კი VIII ტურში დაყარა ფარ-ხმალი რესპუბლიკის ჭაბუკთა შორის გამარჯვებულ თბილისელ თამაზ ქეთიშვილთან ბრძოლაში.

ბერიშვილმა, რომელმაც ტურნირის ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა, 15 შესაძლებლიდან 14 ქულით დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

მისთვის რესპუბლიკური ჩემპიონატი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო იუნიორთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოს ბოლოს ჩატარდება იტალიაში. მანამდე მას მოუწევს თამაში ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აგვისტოს პირველ ნახევარში დაიწყება.

საქართველოს ჩემპიონატში 12,5 ქულით II ადგილზე გავიდა არტურ გოიხმანი. მესამე იყო იური სპესივცევი — 11 ქულა.

საიუბილეო ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ სოხუმის, ცხინვალისა და ფოთის მოშაშეებს, მათ ნაცვლად შეჯიბრების ორგანიზატორებმა ნიჭიერი ნორჩი სპორტსმენები მოიწვიეს. შეჯიბრების მონაწილეთა ნახევარს 9-დან 16 წლის სპორტსმენები შეადგენდნენ. მართალია მოზარდებმა ჯერჯერობით მედგარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ოსტატებს, მაგრამ ბევრ პარტიაში თამაშის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

**სერგო თომაშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

## საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა

# როლები შეცვალეს

საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ეტაპი (ამ შეჯიბრების ერთი ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, მეორე კი რბოლა სომხეთში გადაინაცვლებს) ფაქტიურად პროლოგის გაგრძელება იყო. პირველ დღეს, გახსოვთ ალბათ, გამარჯვება კუიბიშეველმა კონსტანტინე ბანკინმა მოიპოვა. მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი ვიქტორ დემიდენკო გავიდა, მესამეზე კი რამის გაიმეტდინოვი (საბჭოთა არმია).

თბილისი — დუშეთი — ანანური — ჯვრის ეტაპზე (165 კილომეტრი) პრიზიორთა შორის ისევ ეს ველოსიპედისტები იყვნენ, ოღონდ კუიბიშეველებმა ერთმანეთში გაცვალეს ადგილები. რბოლა დემიდენკომ მოიგო — 4:02.55. ბანკინმა მეორე ადგილი დაიკავა — 4:03.05. რაც შეეხება გაიმეტდინოვს იგი ამჯერადაც მესამე ადგილით დაკმაყოფილდა — 4:03.15. საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი გენადი გოდუნოვს ჰქონდა (XII ადგილი).

პირად ჩათვლაში ზემოთ დასახელებულმა სამმა ველოსიპედისტმა ასეთი თანამიმდევრობით იგდო ხელთ ლიდერობა: დემიდენკო, ბანკინი, და გაიმეტდინოვი.

გუნდურ პირველ ადგილზე ცხადია, კუიბიშეველი ველოსიპედისტები არიან — 12:11.20. მომდევნო ადგილებს ინაწილებენ შეიარაღებულ ძალთა და სამხედრო საზღვაო ფლოტის (12:12.52), კუიბიშევის მეორე გუნდის (12:16.24) და ოლიმპიური მომზადების ცენტრის — „ივერიის“ (12:22.25) ველოსიპედისტები.

**ანზორ ჭიჭინაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

• • •

**ხუთშაბათს** ველორბოლის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს „მშვიდობისათვის ხალხთა მოწოდებას“. ეს მოწოდება, როგორც ცნობილია, მისისიპის კრუიზის დროს მიიღეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. ხელმოწერის ცერემონია შედგა 1986 წლის 8 აგვისტოს ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში. ამერიკის ანტისაომარ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოწოდებაზე ხელმოწერის კამპანია 1987 წლის აგვისტომდე გაგრძელდება. 6 აგვისტოს, ხიროსიმის ატომური დაბომბვის დღეს, მოწოდება გაეგზავნებათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინას.

# სამი პირველი ადგილი

**დონეცკის** „შახტიორის“ კორტებზე დამთავრდა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენისა და კომენტატორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიკოლოზ ოზეროვის პრიზის საკავშირო გათამაშება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში 1971-1976 წლებში დაბადებული ჭაბუკები და გოგონები ჩაებნენ.

საუკეთესოდ იასპარეზეს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი გოდერძი ჯიქია) აღსაზრდელებმა — 15 წლის ირაკლი სვანიძემ და 12 წლის მიხეილ მღებროვმა. ირაკლიმ 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკებში გაიმარჯვა, მიხეილი — 1975-76 წლებში დაბადებულთა შორის იყო ძლიერი. სვანიძე და მღებროვი უძლიერესნი აღმოჩნდნენ წყვილთა თანრიგშიც.

**ალექსანდრე კაპანაძე.**

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

# სასტარტო მოულოდნელობები

**პირეოსში** (საბერძნეთი) მშვიდობისა და მეგობრობის დახურულ ოლიმპიურ სტადიონზე დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ოცდამეხუთე ჩემპიონატი, რომლის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. სპეციალისტების აზრით პირველ ქვეჯგუფში უფრო ძლიერი გუნდებია თავმოყრილი: საბჭოთა კავშირი, ესპანეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი და ჩემპიონატის მასპინძელი საბერძნეთი, რომელსაც მაყურებლები, ცხადია, გულმხურვალედ უჭერენ მხარს. ქვეჯგუფის მეექვსე მონაწილეს — რუმინეთს იმთავითვე აუტსაიდერის როლი აქვს განკუთვნილი.

ჩემპიონატის პირველი სენსაცია სწორედ ამ ქვეჯგუფში მოხდა, როცა საბერძნეთის ნაკრებმა გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა — 84:78 (42:40). იუგოსლავიელებმა პირველი ბრძოლაც წააგეს საბჭოთა კალათბურთელებთან და ახლა აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან. მაგრამ ეს გამოცდილი კოლექტივი ოთხეულში გასვლას, ალბათ, მაინც მოახერხებს. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე კი გუნდები სწორედ ამისთვის იბრძვიან. ოთხეულში მოხვედრა, ფაქტიურად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლების მოპოვებას ნიშნავს.

პირველ ჯგუფში დაუმარცხებლად გამოდიან საბჭოთა კავშირის, ესპანეთის და საბერძნეთის გუნდები, ჩვენმა კალათბურთელებმა, როგორც ვთქვით, პირველ დღეს იუგოსლავიელები დაამარცხეს — 100:93 (44:41), მეორე ტურში კი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს სძლიეს — 107:78 (55:37). ორი გამარჯვება აქვთ ესპანელებსაც, მათ სასტარტო შეხვედრაში ფრანგებს აჯობეს — 111:70 (48:34), მერე კი რუმინელები დაჯაბნეს — 116:98 (70:51).

საბჭოთა გუნდის თამაშმა, მიუხედავად იმისა, რომ მას სამი წამყვანი მოთამაშე — საბონისი, კურტინაიტისი და ბელოსტენნი აკლია, სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა მიმომხილველთა აზრით გუნდს პრობლემებიც აქვს. ესაა პირველ რიგში საჯარიმო სროლების დაბალი შედეგიანობა და უზუსტო გადაცემების სიჭარბე. მაგრამ გათამაშების სტარტზე ასეთი შეცდომები ჩვეულებრივი ამბავია.

მეორე ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ იტალიელებმა იგდეს, რომლებმაც ჯერ გფრ-ის გუნდი დაამარცხეს — 84:78 (46:38), მერე კი პოლონელებსაც აჯობეს — 99:85 (51:44). მოულოდნელობა ამ ჯგუფშიც მოხდა. ჰოლანდიის კალათბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში ისრაელის ნაკრებს სძლიეს — 61:60 (43:24). მანამდე კი პოლონეთმა ჰოლანდია დაამარცხა — 91:84 (40:45), ისრაელმა კი ჩეხოსლოვაკია — 99:83 (44:40).

**გათამაშების ცხრილები**

**(ორი ტურის შემდეგ)**

**პირველი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 227-168 | 4 |
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 207-171 | 4 |
| საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 193-155 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 2 | 171-184 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 175-225 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 148-218 | 2 |

**მეორე ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 183-168 | 4 |
| ისრაელი | 2 | 1 | 1 | 159-144 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 178-171 | 3 |
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 145-151 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 176-183 | 3 |
| გფრ | 2 | 0 | 2 | 150-179 | 2 |



## სსრ კავშირი—საბერძნეთი

ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქე მასპინძელთა გუნდი — საბერძნეთის ნაკრები იქნება. კალათბურთს საბერძნეთში 1919-1920 წლებში გაეცნენ. ფიბა-ს შემადგენლობაში ეს ქვეყანა 1932 წელს შევიდა. ქვეყნის უძლიერესი გუნდები არიან აეკ-ი და „პანათინაიკოსი". ევროპის ჩემპიონატში საბერძნეთის ნაკრების ყველაზე დიდი წარმატებაა 1949 წელს ეგვიპტეში მოპოვებული ბრინჯაოს მედლები. 1968 წელს საბერძნეთის კლუბმა აეკ-მა მოიპოვა თასების მფლობელთა თასი. 1981-82 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშებას საბერძნეთის კლუბმა „პანათინაიკოსმა" გამოსთიშა მოსკოვის ცსკა.

საბჭოთა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის სამივე მატჩი მოუგეს საბერძნეთის ნაკრებს, თუმცა ამჯერად მასპინძელთა გუნდის წინააღმდეგ თამაში, ცხადია, უფრო გაძნელდება. საბჭოთა გუნდის მთავარი პრობლემა იქნება მეტოქის სნაიპერის — გალისის ნეიტრალიზება, რომელიც 1983 წლის ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიოს X ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

**მერაბ კალანდაძე.**

## კალათბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს და ხვალ თბილისში კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნითი ტურის სამი მატჩი. შეხვედრათა განრიგი (ორივე დღისათვის) ასეთია:

12.00 საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტი — ბათუმი

13.30 პოლიტექნიკური ინსტიტუტი — უნივერსიტეტი

15.00 „მართვე" — „სინათლე"

შაბათ-კვირას გორში ადგილობრივი გუნდი რუსთავს შეხვდება, თელავი კი ქუთაისის კალათბურთელებს უმასპინძლებს. ბოლო ტურის უკანასკნელი შეხვედრა სოხუმში 9-10 ივნისს გაიმართება, ადგილობრივი გუნდი თბილისის დინამოელებს მიიღებს.

## ორი საგზურისთვის

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა საქართველოს უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატი, რომელშიც 14 მონაწილე გამოვა. წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ:

1. ოსტატი გია გიორგაძე (თბილისი), 2. ოსტატი მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი), 3. ოსტატობის კანდიდატი ბესო ხეცურიანი (ქუთაისი), 4. ოსტატი იგორ ეფიმოვი, 5. ოსტატობის კანდიდატი პაატა გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი), 6. ოსტატობის კანდიდატი დავით ჩაჩიბაია (ცხაკაია), 7. ოსტატი დიმიტრი გედევანიშვილი, 8. ოსტატი გია ბაღათუროვი (ორივე — თბილისი), 9. ოსტატობის კანდიდატი გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია), 10. ოსტატობის კანდიდატი ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), 11. ოსტატობის კანდიდატი თამაზ ტაბატაძე, 12. ოსტატი ლაშა ჯანჯღავა (ორივე — თბილისი), 13. საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტურუა, 14. ოსტატობის კანდიდატი კახა შალამბერიძე (ორივე — თბილისი).

I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეებ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის საგზურებს მიიღებენ.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 7 ივნისი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „კახეთი" (თელავი).** დასაწყისი 12 საათზე. წვიმიანი ამინდის შემთხვევაში მატჩი შედგება „დინამოს" სტადიონის წიდიან მინდორზე.

ევროპის ჩემპიონატი კრივში

# ახლა ფინალში...

**იტალიის** ქალაქ ტურინში მიმდინარე კონტინენტის მოკრივეთა 26-ე ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენთაგან ფინალისაკენ გზა პირველმა გაიკაფა ზეუმსუბუქესი წონის — 48 კგ — ერევნელმა სპორტსმენმა ნშან მუნჩიანმა, რომელმაც დაამარცხა რუმინელი ადრიან ამტერი და, სულ ცოტა, ვერცხლის მედალი გაინაღდა.

თანაგუნდელს მხარი აუბეს სხვა საბჭოთა მოკრივეებმაც. ფინალში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ მსოფლიო ექსჩემპიონი, ნევინომისკელი მძიმე წონის მოკრივე იური ალექსანდროვი, რომელმაც ეს უფლება შვედ ჯიმი მაიანთან დამაჯერებელი გამარჯვებით მოიპოვა, ფრუნზელი ორზუბეკ ნაზაროვი, რომელმაც მსუბუქ წონაში 3:2 დაამარცხა რუმინელი დანიელ მერანა, კუიბიშეველი ვასილ შიშოვი (67 კგ), რომელმაც ბულგარელი ანჯელა სტოიანოვი დაჯაბნა.

პირველ მძიმე წონაში — 91 კგ — მასპინძელ ლუიჯი გაუდიანისათვის დრამატულად წარიმართა ბრძოლა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონთან, გროზნოელ რამაზან საბიევთან. იტალიელმა ძალზე აქტიურად შეუტია მეტოქეს და რაუნდიც მოიგო, მაგრამ მეორე რაუნდში გაუდიანის წარბი დაუზიანდა და რეფერი იძულებული გახდა შეეწყვიტა ორთაბრძოლა. გამარჯვება საბიევს მიეკუთვნა. გროზნოს მეორე წარმომადგენელი რუსლან ტარამოვი (75 კგ) წმინდად დამარცხდა გდრ-ის სპორტსმენ ჰენრიხ მასკესთან და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მეოთხედფინალში მძიმე ბრძოლა ჰქონდა ევროპის სამგზის ჩემპიონს, ზემძიმე წონის სპორტსმენს (91 კგ-ს ზევით), დონეცკელ ალექსანდრე იაგუბკინს. 26 წლის მოკრივემ მინიმალური უპირატესობით (3:2) მოუგო უნგრელ იშტვან ლევაის და ოქროს მედლისთვის განაგრძობს ბრძოლას.

საბჭოთა მოკრივეებმა სხვა წონებშიც წარმატებით იასპარეზეს და ფინალში გავიდნენ. მსაჯებმა ერთხმად მიაკუთვნეს გამარჯვება ერევნელ ქვემსუბუქი წონის მოკრივეს მიხაკ ღაზარიანს ჰოლანდიელ რეგილიო ტუურთან შეხვედრაში, აგრეთვე ვიტებსკელ ვიაჩესლავ იანოვსკის (63,5 კგ) ასევე ნიდერლანდელ ვან დერ ხოკენთან და რიგელ იური ვაულინს (81) იტალიელ ანდრეა მაჯთან ბრძოლაში. ვლადიმირელი ვიქტორ ეგოროვისა (71) და რუმინელი მარიან აველის შეხვედრაში არბიტრთა უმრავლესობამ საბჭოთა სპორტსმენი მიიჩნია უძლიერესად. ჩვენს გუნდში მეათე ფინალისტია ა. იაგუბკინი, რომელმაც ამ ეტაპზე ბულგარელი პეტარ სტოინოვი დაამარცხა.

**რეგბი**

## გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები

დასრულდა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების საწყისი ეტაპი და გაირკვა იმ 8 გუნდის ვინაობა, რომლებიც მეოთხედფინალურ მატჩებში ითამაშებენ. III ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ა" ქვეჯგუფი. ინგლისი — აშშ 34:6, ავსტრალია — იაპონია 42:23 (13:10). ეს შეხვედრები სიდნეიში ჩატარდა. ავსტრალიელებმა 6 ქულა მოაგროვეს, ინგლისელებმა — 4, ამერიკელებმა — 2, იაპონელებმა — 0.

„ბ" ქვეჯგუფი. უელსის ნაკრებმა ინვერქარგილში (ახალი ზელანდია) სძლია კანადის გუნდს — 40:9, ირლანდიელებმა ბრისბენში ტონგას რეგბისტები დაამარცხეს — 32:9. სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განლაგდნენ: უელსი — 6 ქულა, ირლანდია — 4, კანადა —2, ტონგა — 0.

„დ" ქვეჯგუფი. შოტლანდიელებმა დანიდინში დაამარცხეს რუმინელები — 55:28, ფრანგებმა ოკლენდში სძლიეს ზიმბაბვეს ნაკრებს —70:12. მატჩებში ორჯერ გაუმჯობესდა შედეგიანობის ინდივიდუალური რეკორდი: ჯერ შოტლანდიელთა მცველმა გევინ ჰესთინგსმა მოაგროვა 27 ქულა (2 ლელო, 8 რეალიზაცია, 1 საჯარიმო), შემდეგ კი ფრანგმა დიდიე კამბერაბერომ 3 ლელო და 9 რეალიზაცია გაიტანა, რითაც გუნდს 30 ქულა შესძინა. გამარჯვებულებს მოგება ძვირად დაუჯდათ: დაშავდნენ ბონაველი, სელა (საფრანგეთი) და ჯეფრი, თოუმზი, სქოთ ჰესთინგსი (შოტლანდია). საბოლოოდ საფრანგეთისა და შოტლანდიის გუნდებმა 5-5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე ფრანგები გავიდნენ. რუმინელებს 2 ქულა აქვთ, ზიმბაბველებს — არცერთი.

როგორც გაუწყეთ, „გ" ქვეჯგუფიდან მეოთხედფინალში ახალი ზელანდიისა და ფიჯის გუნდები ითამაშებენ.

გთავაზობთ მეოთხედფინალური მატჩების განრიგს: 6 VI. ახალი ზელანდია — შოტლანდია (ქრაისთჩერჩი). 7 VI. საფრანგეთი — ფიჯი (ოკლენდი). 7 VI. ავსტრალია — ირლანდია (სიდნეი). 8 VI. უელსი — ინგლისი (ბრისბენი).

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" თირაჟი, 22-ე ტირაჟებისა, რომლებიც 31 მაისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 761967 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (44 ბარათი) მოგება 1039 მანეთია, ოთხისთვის (2730) — 25, სამისთვის (41069) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 7140204 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (65 ბარათი) მოგება 6635 მანეთია, ოთხისთვის (8065) — 80, სამისთვის (213115) — 5.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 6 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) — **18.20 (2);** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: იუგოსლავია — ესპანეთი — **19.15 (2),** საბერძნეთი — სსრ კავშირი — **0.55 (1).** მძლეოსნობა: ძმები ზნამენსკების მემორიალი — **22.40 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 6 ივნისი.** სპორტული ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — **12.45;** საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე — **16.55;** კალათბურთის ვარსკვლავები — **18.25;** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: საბერძნეთი — სსრ კავშირი — **0.50.**

**რედაქტორი თ. ბაჩეჩილაძე.**

## სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ხელშეკრულება შეგიძლიათ გააფორმოთ 2-დან 11 თვემდე ან 1 წლით. რამდენადაც დიდია სადაზღვევო თანხა, იმდენად მცირეა გადასახადი.

ავარიის, ხანძრის, გრიგალის ან სხვა სტიქიური უბედურების, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების ან გატაცებასთან დაკავშირებით გაქურდვის შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის სადაზღვევო თანხას.

ასევე შეგიძლიათ დააზღვიოთ მოტოციკლები, მოტოროლერები, მოტოეტლები, მოპედები.

დარეკეთ ტელეფონით თქვენი რაიონის სახდაზღვევის ინსპექციაში და დაზღვევის აგენტი გეწვევათ შინ ან სამსახურში.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო, საქართველოს სარეკლამო სააგენტო.**

**ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს, რომ 15 ივნისიდან იმუშავებს ცურვის გამაჯანსაღებელი ჯგუფი.** მეცადინეობები ჩატარდება 7 საათიდან და 45 წუთიდან, მხოლოდ ზაფხულის პერიოდში. მიიღებიან ცურვის მცოდნენი, ასაკის შეუზღუდავად. სამედიცინო დასკვნებისათვის მიმართვები გაიცემა 6 ივნისიდან. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 99-80-19 ან 99-82-31. ჩვენი **მისამართია:** თბილისი, ლენინის ქუჩა, პირველი შესახვევი, № 34. ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი.

თბილისის „ბურევესტნიკის" ვეტერანი წყალბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „ბურევესტნიკისა" და თბილისის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდების ყოფილი წევრი, საქართველოს ჩემპიონი

**ვახტანგ კარლოს ძე ეკიზაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 6 17 18 19 20 21 უე 07884